№489 2016 წლის 21 მარტი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 113-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის გადასაცემი ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახეობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის №330 დადგენილებით დამტკიცებული ნუსხის პირველი პუნქტის თანახმად, დამტკიცდეს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 14 მარტის №5/11649 გადაწყვეტილება ქალაქ ნინოწმინდაში, თავისუფლების ქუჩა №37ა-ში მდებარე 1641.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების: ობიექტი 1-ის (სამხედრო კომისარიატი) - განაშენიანების ფართით - 218.3 კვ.მ, ობიექტი 2-ის - განაშენიანების ფართით - 6.1 კვ.მ და ობიექტი 3-ის (ავტოფარეხი) - ფართით - 76.4 კვ.მ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №65.12.33.425) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების სახით გადაცემის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**